თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2015 წლის 7 აგვისტოს სხდომის ოქმი #9

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 19, სტუდენტები – 2, სულ –21 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. ტურიზმის საბაკალავრო (ტურიზმი), სადოქტორო (ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი) და პროფესიული პროგრამების დროებითი კოორდინატორის დანიშვნის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

6. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შეხსახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

7. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს სთხოვა დღის წესრიგში ორი საკითხის დამატება:

1. თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ტურიზმის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;
2. დოქტორანტ ნანა ბენდელიანისათვის სწავლის საფასურის შეღავათის დაწესების შესახებ.

სხდომის თვმჯდომარემ, დეკანა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 7 აგვისტოს #9 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ,,საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის“ სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრებულ ნინო ტყაბლაძისთვის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 19-20.06.2003) და თსუ რექტორის (№4/808, 17.07.2033) ბრძანებით მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანისა და მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან და დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკუტეტის დეკანის მოადგილე მ.ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტის განცხადებით მომართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ,,საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის“ სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრებულმა ნინო ტყაბლაძემ ახალი დიპლომისა და

დიპლომის დანართის მომზადებათან დაკავშირებით, რამაც ნინო ტყაბლაძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნინო ტყაბლაძის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის ნითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწნებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების შემდეგ გახდა სავალდებულო დიპლომის ფორმაში აღნიშნული რეკვიზიტების მითითება.აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმსითვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის ა6 აპრილიც №55/01-01 ბრძანების საფუძველზე სავალდებულოა დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტების დადასტურება ან/და აღდგენა.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ რომ ნინო ტყაბლაძე 1999 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/852, 13.09.1999).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 19-20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3) გადაწყვეტილებით არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების ,,საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის“ სპეციალობის კურსდამთავრებულ ნინო ტყაბლაძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით (სახელწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის შემაჯამებელის სხდომის ოქმი №3, 19-20.06.2003).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2003 წლის 17 ივლისის №4/808 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა ჩევულებრივი დიპლომი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ ნინო ტყაბლაძეს საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით.

2003 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№10486 (სარეგისტრაციო №01/350) რეგისტრირებულია ნინო ტყაბლაძის სახელზე, სადაც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ნინო ტყაბლაძეს მიენიჭა ***ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი,საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის კვალიფიკაციით.***

დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმში (№3, 19-20.06.2003) და თსუ რექტორის ბრძანებით მინიჭებულ ხარისხთან. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, აღნიშნული შეუსაბამობის დადგენის მოთხოვნით მომართა თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა კონსულტაციისთვის წერილობით მიმართა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წერილობით (№23087/02, 15.07.2015) განმარტა, რომ „ნინო ტყაბლაძის კვალიფიკაცის მინიჭების ბრძანება არ არის შესაბამისობაში დიპლომში მითითებულ კვალიფიკაციასთან. აუცილებელის ორივე დოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია ფორმირებული იყოს ერთგვარად. იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა იყოს ჩამოყალობებული ეს კვალიფიკაცია, გადაწყვეტილება უნდა მიიღონ შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა“.

დამატებითი კონსულტაციები იქნა გავლილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. მიღებული კონსულტაციების შედეგადაც მიზანშეწონილად ჩაითვალა ნინო ტყაბლაძისთვის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით (სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 19-20.06.2003) და თსუ რექტორის (№4/808, 17.07.2003) ბრძანებით მინიჭებული „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“ შეიცვალოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებბლი სხდომის ოქმი №3 დათარიღებულია 2003 წლის 19 და 20 ივნისის რიცხვებით. დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალიდან ამონაწერში კომისიის თარიღად მითითებული 2003 წლის 20 ივნისი. იგივე თარიღია მითითებული ნინო ტყაბლაძის სახელზე გაცემულ დიპლომში BN№10486 (სარეგისტრაციო №01/350). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკისა ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3-ის თარიღად განისაზღვროს **2003 წლის 20 ივნისი.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: საბჭომ ერთხმად მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციასა და მართვის სპეციალობის 2003 წლის 19-20 ივნისი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3) და თსუ რექტორის 2003 წლის 17 ივლისის №4/808 ბრძანებით მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი დაკორექტირდეს და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ბრძანებით (№4/808, 17.07.2003) განსაზღვრულ კურსდამთავრებულთა სახელზე გაცემულ დიპლომებსა და დიპლომის დანართებში აღნიშნულ ბაკალავრის ხარისხთან. კერძოდ, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მითითებულ იქნეს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
2. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ყოფილი მენეჯენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაში 2003 კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ნინო ტყაბლაძე) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3-ის თარიღად განისაზღვროს **2003 წლის 20 ივლისი.**
3. ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს ყოფილი მენეჯენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაში 2003 წლის 19-20 ივნისი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№3) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 19-20.06.2003 წ.).*

მოისმინეს: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან მიმართვა,

სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვენ შუამდგომლობას ხარისხების მინიჭების შესახებ. მან აღნიშნა, რომ გადაკონტროლდა სტუდენტთა სასწავლო გარათები, პროგრამების დასახელება და მისანიჭებელი ხარისხები.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შემდეგი საკითხი: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: 1. დიპლომი წარჩინებით - 28 კურსდამთავრებული; 2. დიპლომი ჩვეულებრივი - 234 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:
1. დიპლომი წარჩინებით - 28 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 234 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

მოისმინეს: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან მიმართვა, სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვენ შუამდგომლობას ხარისხების მინიჭების შესახებ. მან აღნიშნა, რომ გადაკონტროლდა სტუდენტთა სასწავლო გარათები, პროგრამების დასახელება და მისანიჭებელი ხარისხები.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შემდეგი საკითხი: მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: 1. დიპლომი წარჩინებით - 54 კურსდამთავრებული; 2. დიპლომი ჩვეულებრივი - 121 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ეკონომიკის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

1. დიპლომი წარჩინებით - 53 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 121 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

მოისმინეს: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან მიმართვა, სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვენ შუამდგომლობას ხარისხების მინიჭების შესახებ. მან აღნიშნა, რომ გადაკონტროლდა სტუდენტთა სასწავლო გარათები, პროგრამების დასახელება და მისანიჭებელი ხარისხები.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შემდეგი საკითხი: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: 1. დიპლომი წარჩინებით - 30 კურსდამთავრებული; 2. დიპლომი ჩვეულებრივი - 43 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ეკონომიკის მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

1. დიპლომი წარჩინებით - 30 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 43 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

მოისმინეს: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან მიმართვა, სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვენ შუამდგომლობას ხარისხების მინიჭების შესახებ. მან აღნიშნა, რომ გადაკონტროლდა სტუდენტთა სასწავლო ბარათები, პროგრამების დასახელება და მისანიჭებელი ხარისხები.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შემდეგი საკითხი: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: 1. დიპლომი წარჩინებით - 32 კურსდამთავრებული; 2. დიპლომი ჩვეულებრივი - 112 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

1. დიპლომი წარჩინებით - 32 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 112 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

მოისმინეს: თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ტურიზმის საერთაშორისო სკოლიდან შემოსულია წერილი #4284/29, 06.08.2015, სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვენ შუამდგომლობას ხარისხების მინიჭების შესახებ.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შემდეგი საკითხი: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში" აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: 1. დიპლომი წარჩინებით - 12 კურსდამთავრებული; 2. დიპლომი ჩვეულებრივი - 121 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში" აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:
1. დიპლომი წარჩინებით - 12 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 121 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

მოისმინეს: თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ტურიზმის საერთაშორისო სკოლიდან შემოსულია წერილი #4264/29, 06.08.2015, სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვენ შუამდგომლობას ხარისხების მინიჭების შესახებ.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შემდეგი საკითხი: მიენიჭოს ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის" აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: 1. დიპლომი წარჩინებით - 3 კურსდამთავრებული; 2. დიპლომი ჩვეულებრივი - 15 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის" აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:
1. დიპლომი წარჩინებით - 3 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 15 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

მოისმინეს: თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ტურიზმის განვითარების ინსტიტუტიდან შემოსულია წერილი #4265/29, 06.08.2015, სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვენ შუამდგომლობას ხარისხების მინიჭების შესახებ.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შემდეგი საკითხი: მიენიჭოს ,,სასტუმროს საქმისმწარმოებლის მეოთხე საფეხურის“ პროფესიული კვალიფიკაცია 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის პროფესიული პროგრამის ,,სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი“ მეოთხე საფეხურის 11 კურსდამთავრებულს, მათ შორის: 1. დიპლომი წარჩინებით - 2 კურსდამთავრებული; 2. დიპლომი ჩვეულებრივი - 9 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,სასტუმროს საქმისმწარმოებლის მეოთხე საფეხურის“ პროფესიული კვალიფიკაცია 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის პროფესიული პროგრამის ,,სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი“ მეოთხე საფეხურის 11 კურსდამთავრებულს, მათ შორის:

1. დიპლომი წარჩინებით - 2 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 9 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

მოისმინეს: ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ კოორდინატორის ლ. ტაბატაძის წერილი #4169/29, 28.07.2015, სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვს შუამდგომლობას თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო

პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ კურსდამთავრებულ თამარ წიკლაურისთვის ,,ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის” აკადემიური ხარისხი თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ კურსდამთავრებულს თამარ წიკლაურს.

მოისმინეს: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შეხსახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ეკონომიკის საერთაშორისო სკოლიდან შემოსულია წერილი წარდგინების სახით, რომლითაც მოითხოვეს ეკონომიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის 2015 წლის კურსდამთავრებულთათვის ,,ეკონომიკის მაგისტრის“ აკადემიური ხარისხის მინიჭებას: 1. დიპლომი წარჩინებით - 7 კურსდამთავრებული; 2. დიპლომი ჩვეულებრივი - 25 კურსდამთავრებული (იხ. დანართი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ეკონომიკის მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

1. დიპლომი წარჩინებით - 7 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 25 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

მოისმინეს: ტურიზმის საბაკალავრო (ტურიზმი), სადოქტორო (ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი) და პროფესიული პროგრამების დროებითი კოორდინატორის დანიშვნის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ 1.07.2015-დან თსუ-სთან შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა პროფესორ მაია მარგველაშვილს. ის გახლდათ შემდეგი აკრედიტირებული პროგრამების ხელმძღვანელი:

1. *საბაკალავრო პროგრამა ,,ტურიზმი“*
2. *სამაგისტრი პროგრამა ,,ტურიზმი“*
3. *სადოქტორო პროგრამა ,,ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“*
4. *პროფესიული პროგრამები: ტურიზმის მენეჯმენტი მეოთხე საფეხური, ტურიზმის მენეჯმენტი მეხუთე საფეხური, სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი მეოთხე საფეხური, სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი მეხუთე საფეხური.*

იმის გამო, რომ პროფ. მ. მარგველაშვილმა შრომითი ხელშეკრულება შეწყვიტა თსუ-სთან, ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილემ ეკა ლეკაშვილმა წერილით მიმართა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სადაც ის ითხოვდა რეკომენდაციებს პროგრამების დროებითი ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ. საპასუხოდ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან შემოსულია ორი ტიპის რეკომენდაცია:

1. *სასურველია სამაგისტრი პროგრამა ,,ტურიზმის“ პროგრამის კოორდინატორის ფუნქცია შეასრულოს აღნიშნული პროგრამის თანახელმძღვანელმა (ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი);*
2. *აკრედიტირებული პროგრამების ადმინისტრირებისთვის, რომელთა ხელმძღვანელიც იყო მაია მარგველაშვილი დროებით გამოიყოს კოორდინატორი.*

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თვლის, რომ დროებითი კოორდინატორის ფუნქცია უნდა შეასრულოს ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ნანა ბენდელიანისთვის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. თ. ბერიძე/

ბ-მა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ შემოსულია ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის ნანა ბენდელიანის განცხადება, რომელშიც ის, როგორც თსუ თანამშრომელი (რექტორის მოადგილის კონსულტანტი) ითხოვს 2015–2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის საფასური განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით, 1125 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ნანა ბენდელიანს, როგორც თსუ-ის პერსონალ–დოქტორანტს, 2015–2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%–ით, 1125 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის კათედრებზე არსებული დამატებითი საათების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. თ. ბერიძე/

ბ-მა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ კათედრებს განსახილველად დაეგზავნათ დამატებითი საათების განაწილებების დროს გასათვალისწინებელი პირობები:

1. სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის სასწავლო კურსების სპეციფიკა (მაგისტრატურისა და მოდულის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსების საათებთან მიმართებაში);
2. დამატებითი საათები არ მიეცემა იმ აკადემიურ პერსონალს, რომელსაც აკადემიური თანამდებობის პარალელურად უკავია ადმინისტრაციული ან დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეული;
3. დამატებითი საათები ითვალისწინებს როგორც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ასევე, ტურიზმის საერთაშორისო სკოლის სასწავლო საათებს;
4. დამატებითი საათები არ განაწილდება B კონტრაქტზე მყოფ აკადემიურ პერსონალზე;
5. ძირითადი და დამატებითი საათების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: პროფესორი - 14 საათს (მაგალითად: პროფესორისთვის ძირითადი - 8სთ.+დამატებითი 6სთ); ასოცირებული პროფესორი - 16 საათს; ასისტენტ-პროფესორი - 18 საათს; მასწავლებელი - 16 საათს (შეგახსენებთ, რომ კვირაში ძირითადი და დამატებითი საათებს ასევე ემატება საკონსულტაციო საათების რაოდენობა; აკადემიური საბჭოს დადგენილება №112, 4 ოქტომბერი, 2013);
6. საათების განაწილების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ასიმეტრიული დატვირთვა.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა, პროფ. ს. გელაშვილმა, ასოც. პროფ. მ. მაისურაძემ.

პროფ. ე. მექვაბიშვილი - მან დასვა შეკითხვა: შეუძლიათ თუ არა კონტრაქტით დასაქმებულ პერსონალს დამატებითი საათების მიღება?

სხდომის თავმჯდომარე, დეკანი პროფ. თ. ბერიძე - მან აღნიშნა, რომ აღნიშნული წესი ვრცელდება მხოლოდ ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალზე.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 21**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის დამატებითი საათების განაწილების წესი.

მოისმინეს: ასოც პროფ.ნ პაიჭაძისთვის დაბადებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით თსუ რექტორის, აკად. ვ. პაპავას მიერ სიგელის გადაცემის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა პროფ. თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო თსუ რექტორის, აკად. ვ. პაპავას მილოცვა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. საბჭოს წევრების მილოცვის შემდეგ ბატონმა ნ. პაიჭაძემ მადლობა გადაუხადა რექტორს და კოლეგებს.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე